„ვამტკიცებ“.

ინსტიტუტის დირექტორი გ. ჯაიანი
2019 წლის „___“ _____

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე
განხილულია 2019 წლის „___“ _____

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის
ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის

კომპლექსური ანალიზის და მისი გამოყენებების განყოფილების

დებულება

პრეამბულა. კომპლექსური ანალიზის და მისი გამოყენებების განყოფილება შეიქმნა 1976 წელს. მისი შექმნის ინიციატორი და პირველი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ინსტიტუტის დამაარსებელი ი. ვეკუა. მისი მოწვევით კომპლექსური ანალიზის და მისი გამოყენებების განყოფილების ხელმძღვანელი 1977 წელს გახდა გ. მანჯავიძე. იმთავითვე განყოფილების სამეცნიერო თემატიკა წარმოდგენილი იყო კლასიკური კომპლექსური ანალიზის ფუნდამენტური მიმართულებებით, როგორიცაა სასაზღვრო ამოცანები ანალიზური და განზოგადებული ანალიზური ფუნქციებისათვის, კვაზიკონფორმული ასახვები, განსაკუთრებული წერტილების მქონე ელიფსურ განტოლებათა სისტემები კომპლექსურ სიბრტყეზე, აგრეთვე, მათემატიკური ფიზიკის სხვადასხვა მოდელებით ინიცირებული ბრტყელი ამოცანებით.
ამჟამად კვლევები მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით: განზოგადებული ბელტრამის განტოლებათა სისტემის ამონახსნთა სივრცის შესწავლა და მისი კავშირის დადგენა მრავალსახეობის კომპლექსურ სტრუქტურებთან; სიბრტყეზე და რიმანის ზედაპირებზე განსაკუთრებულობების მქონე ელიფსურ განტოლებათა სისტემების ამონახსნთა სივრცის სტრუქტურის კვლევა, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების კვადრატურებში ამოხსნადობა; სასაზღვრო ამოცანები განზოგადებული ანალიზური ვექტორ-ფუნქციებისათვის და მათთან დაკავშირებული ზუსტად ამოხსნადი მოდელები თეორიული ფიზიკიდან.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (შემდგომში - „ინსტიტუტი“) კომპლექსური ანალიზის და მისი გამოყენებების განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) არის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული.

2. განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ინსტიტუტის დებულებით და წინა-მდებარე დებულებით.
3. განყოფილების ხელმძღვანელს და თანამშრომლებს შეიძლება ჰქონდეთ ინსტიტუტის დირექციასთან შეთანხმებული ფორმის ბლანკები პირადი მიმოწერისათვის.

მუხლი 2. განყოფილების დანიშნულება და ფუნქციები

1. განყოფილების დანიშნულებაა უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ეფექტიანად წარმართვის, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში ხელშეწყობის მიზნით:

   ა) ინსტიტუტისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული და სხვა სამთავრობო, საუწყებო თუ საინსტიტუტო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

   ბ) თანამშრომლობა, განყოფილების პროფილის ფარგლებში, უნივერსიტეტის არა მარტო ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დარგებში, არამედ ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, იურიდიულ, სამედიცინო მეცნიერებათა დარგებში მომუშავე პროფესორ- მასწავლებლებთან, მათ მიერ სამეცნიერო კვლევების ჩატარებისას მათემატიკური მეთოდებისა და კომპიუტე-რული ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროების მიხედვით;

   გ) მონაწილეობა განყოფილებისათვის პროფილური საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელებაშიგამოყენებითი მათემატიკის, მექანიკის და ინფორმატიკის დარგებში, აგრეთვე გამოყენებითი მიმართულების (მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური) სამუშაოების წარმოებაში სახელმწიფო ანკერძო სექტორის დაკვეთით;

   დ) თანამშრომელთა ჩართვა, განყოფილების პროფილის ფარგლებში, სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში (ხელმძღვანელობა/კონსულტანტობა) ინსტიტუტის ბაზაზე;

   ე) სტუდენტების ჩართვა განყოფილების მიერ მოპოვებულ სამეცნიერო საგრანტო პროექტებში;

   ვ) საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტთა ლაბორატორიული სამუშაოების და სხვა-დასხვა სახის პრაქტიკის (საწარმოო, სასწავლო და სხვა) განყოფილების ბაზაზე ჩატარება;
2. განყოფილება უფლებამოსილია განყოფილების სამომავლო განვითარების მიზნით განახორციელოს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის საძიებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მათემატიკის, მექანიკისა და ინფორმატიკის დარგებში.

მუხლი 3. განყოფილების პერსონალი

1. განყოფილების პერსონალი შედგება ხელმძღვანელის, ინსტიტუტისათვის დამტკიცებული საშტატო განრიგით გათვალისწინებული მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე არჩეული სამეცნიერო პერსონალისაგან და, საჭიროების შემთხვე-ვაში, სხვა პერსონალისაგან (პოსტდოქტორანტი, სპეციალისტი, ლაბორანტი და სხვა).
2. განყოფილების პერსონალი თანამდებობებს იკავებს უნივერსიტეტის წესდებით და ინსტიტუტის დებულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 4. განყოფილების ხელმძღვანელი

1. განყოფილებას მართავს განყოფილების ხელმძღვანელი, რომელიც:

   ა) შეიმუშავებს განყოფილებაში განსახორციელებელი პერსპექტიული საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს განყოფილების თანამშრომელთა სამუშაოების აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) შეიმუშავებს და განსახილავად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციებს განყოფილების სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) საჭიროების შემთხვევაში დირექტორს წარუდგენს კანდიდატურებს განყოფილების არასაკონკურსო თანამდებობაზე დასანიშნად;

ვ) დირექტორის წინაშე აყენებს განყოფილების თანამშრომლის დისციპლინარული პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან განთავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ზ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს განყოფილების დაფინანსების პროექტს;

თ) წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად განყოფილების წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

ი) პასუხისმგებელია განყოფილების დანიშნულებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

მუხლი 5. განყოფილების პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. განყოფილების პერსონალს უფლება აქვს:

   ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

   ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

   გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

   დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

   ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ინსტიტუტის დებულებით და წინამდებარე დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. განყოფილების პერსონალი ვალდებულია:

   ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

   ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

   გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის და ინსტიტუტის ქონებას;

   დ) განყოფილების ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

   ე) შეასრულოს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

   ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

   ზ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის და ინსტიტუტის სახელს, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას;

თ) ჩაერთოს თსუ სასწავლო პროცესში სხვადასხვა ფორმით (მაგალითად, შეთავსებით მუშაობით, საათობრივი ანაზღაურების წესით ლექცია-სემინარების ჩატარებით, სტუდენტთა ლაბორატორიული სამუშაოების, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქ-ტორო ნაშრომების შესრულების ხელმძღვანელობით და სხვა).

3. განყოფილების პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 6. განყოფილების ქონება და საფინანსო სამეურნეო საქმიანობა

1. განყოფილება განთავსებულია ინსტიტუტის შენობაში მისამართით ქ. თბილისი 0186, უნივერსიტეტის ქ. # 2.
2. განყოფილება სარგებლობს ინსტიტუტის მიერ განყოფილებისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანო-ბისათვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტიანად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
3. განყოფილების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
   ა) ინსტიტუტის ბიუჯეტი;
   ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
   გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავა-ლი;
   დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
4. განყოფილების საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 7.განყოფილების ლიკვიდაცია

1. განყოფილების ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
   ა) განყოფილების დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრუ-ლებლობა;
   ბ) უნივერსიტეტის წესდებით, ინსტიტუტის დებულებით და საქართველოს კანონ-მდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები, განყოფილების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. განყოფილების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანახდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის ინსტიტუტის დირექტორის მიერ მისი დამ-ტკიცების დღიდან.